# სამშობლო

წ. I 1915 წ. კვირა 22 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 40 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 40


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ვრთია ქვეყანაზედა“.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


ოთხშაბათს, 25 მარტს, ქუთაისში, არქიერის გორაზე, გოჭოურას სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პეტროგრადის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტის

შალიკო ექვთიმეს ძის ხმალაძის,

რასაც აუწყებენ უბედური მშობლები და დაობლებული მისი დები.
წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე
1—1—125

მშობლები, მეუღლე, დები და ძმა მიცვალებულის

პავლე სტეფანეს ძის ფეიქრიშვილისა

უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც მათ გამოუთქმელ მწუხარებაში თანაგრძნობა გამოუცხადა.
1—1—129

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე დესპინე გიგინეიშვილის ასული იმნაძისა, შვილები: ვარლამ, მიხაკო და დომნა იმნაძენი, რძალი ლეო ხუნდაძის ასული იმნაძისა და ფოსინე იმნაძის ასული ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ მღვდლის

მარკოზ იმნაძის

გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება დ. ლანჩხუთში, წმ. გიორგის ეკლესიაზე, სამშაბათს, 24 მარტს.

ამა წლის 11 თებერვალს გერმანელებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა აღმოსავლეთ ციმბირის 29-ე პოლკის პორუჩიკი

ილია საულის ძე კახიანი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი დედა მისი მარიამ იაკობის ასული შვილებითურთ, გარდაცვალებულისაგან აღზრდილნი გიორგი ნიკოლოზის ძე და ნადეჟდა სერაფიონის ასული კახიანები.
მიცვალებულის ცხედარს მოასვენებენ ქუთაისის სადგურზე და დაკრძალვენ მის სამშობლო სოფელ როკითში.
დღე მოსვენებისა და დაკრძალვისა ცალკე იქნება გამოცხადებული.


ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

ოთხშაბათს, 25 მარტს, შესდგება

საოჯახო საღამო.

ცეკვა და ლოტო. კინემატოგრაფი ახალი სურათებით.

დაუკრავს მუსიკა. ✦ ფასები ჩვეულებრივი. ✦ მამასახლისთა საბჭო.



სკოლა ტყეში

537 საჟ. ზღვის ნაპირ. ზ. გ. არჯევანიძისა ზაფხული მეორე.
გამართულია საზაფხულო სკოლა პანსიონით და საყმაწვილო ბაღით 6—12 წლის ჯანით სუსტი ბავშვებისათვის ფიჭვნარში, სოფ. წყლვერში (დიდი მთავრის ბორჯომის მამულში). 1915 წლის სეზონი გაიხსნება 1 მაისს ბავშვების ჩაწერა საქიროა [illegible] მთავრდ. მსურველთ ცნობები გაეგზავნება უფასოთ.
[illegible] მარჯანიშვილის ქ., 27; პირადათ საღ. 4—6 საათზე. ქუთაისში დაწვრილებით ამბის გაგება შეიძლება მეორე უმაღლეს ვ.—დ. სასწავლებლის მასწ. კ. ჯულელთან. ზაფხულობით: Магвери, мѣстная школа.
4—1. № 117.



ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი

ნიშნავს

დიდ იაფ ვაჭრობას

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.


## ქუთაისი, 22 მარტი.

ქრისტე აღსდგა, საყვარელო მკითხველო, ქრისტე აღსდგა!

გვინდა სულითა და გულით მოგილოცოთ ეს დიდებული დღესასწაული, მაგრამ, როდესაც გვაგონდება დღევანდელი ომი, რომელიც გმობს ქრისტეს მცნებისა, როდესაც ვუკვირდებით ღარიბ ლატაკთა ცხოვრებას, როდესაც ვითვალისწინებთ იმ ათასგვარ უსამართლობასა და უდიერობას, რომელიც ჩვენ შორის არსებობს, ჩვენს აღტაცებას ფრთები ეკვეცება და სათქმელად გამზადებული სიტყვები ენაზე გვაკვდება...

ოცმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ღვთაებრივმა ნაზარეველმა გვიქადაგა: **შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.**

ორი ათასი წელიწადია მას შემდეგ, რაც იგი ჯვარს ეცვა ჭეშმარიტებისათვის, რაც მან თავისის სიკვდილით დასთრგუნა სიკვდილი, მაგრამ დღესაც კი განა ბევრია ჩვენში ნამდვილი ქრისტიანი?

განა ცოტაა ჩვენში ფარისეველი და ორგული?

განა ცოტაა ჩვენში გამცემელი და მოღალატე?

განა ცოტაა ჩვენში მძარცველი და მტაცებელი?

განა ცოტაა ჩვენში დამაშვრალი და ტვირთ მძიმე?

როდის, როდის მოეღება ბოლო ხალხთა ტანჯვას, როდის დამყარდება ქვეყნათ ქრისტეს მიერ ნამოძღვრალი ძმობა, ერთობა და თავისუფლება, რომ თამამად შემოვძახოთ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და დ[illegible]იმსხვრენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი!..

ველოდეთ ამ დღეს, გავითენოთ იგი დღე!...

მინამდე კი მხოლოდ ჩვეულებრივათ გეტყვით:

**ქრისტე აღსდგა.**

## იესო ნაზარეველი!

კაცობრიობა, როგორც ერთეული, კრებულია სულმდაბალ, ეგოიზმითა და ქვენა გრძნობებით აღსავსე არსებათა, რომელნიც ცხოველებისაგან მხოლოთ იმით განირჩევიან, რომ მათი ეგოიზმი უფრო მოფიქრებულია. მაგრამ კაცობრიობის საერთო უგვანობაში აღმართულა რამდენიმე დიდებული სვეტი, რომელნიც ადამიანის უკეთესს დანიშნულებას გვიჩვენებენ. ყველაზე უმაღლესი ამ სვეტთაგანი იესოა. იგი გვასწავლის—საიდან მოვიდა კაცი და საით უნდა მიისწრაფებოდეს. იესო—ეს განხორციელებაა ყველა იმისი, რაც კი კარგი და აღმატებულია ადამიანის ბუნებაში. იგი, როგორც ძე-კაცისა

იგი ებრძოდა იმავე ვნებათ, რომელთაც ჩვენც ვებრძვით. არავითარ ანგელოზს არ გაუმხნევებია იგი, გარდა თავისივე სინიდისისა, არავითარ ეშმაკს არ მოუნდომებია მისი შეცდენა, გარდა იმ ეშმაკისა, რომელიც თვით კაცის გულში ზის. როგორც ბევრი მისი დიდებულ თვისებათაგანი მოწაფეთა უმეცრებისა გამო ჩვენთვის დაკარგულია, ისე ბევრი მისი ნაკლიც ჩვენგან დამალული იქნება, მაგრამ პირადი სარგებლობა იესოს არასოდეს კაცობრიობის სარგებლობაზე მაღლა არ დაუყენებია. იგი ისე იყო გატაცებული თავისის აზრით, თავისის იდეით, რომ ქვეყნიური სიამენი დავიწყებასაც-კი მისცა.

სწორეთ ამ გმირულ ნება ალმაფრენის მეოხებით იგი სამყაროს გამგედ შეიქმნა. დედამიწის ზურგზე ჯერ არ გამოჩენილა ისეთი კაცი—გარდა საკიამუნისა,—რომელსაც იესოსავით ასე სავსებით სძულებოდეს პირადი ცხოვრება, ქვეყნიური სიტკბოება და მიწიერი ზრუნვა. იგი სცხოვრობდა მხოლოთ თავისის დანიშნულებისათვის! ჩვენ საუკუნო ბავშვებს, რომელნიც დაუღალავად ვფუსფუსობთ, მაგრამ არასოდეს არ ვიმკით ჩვენის დანათესის ნაყოფს, იმის მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ მოწიწებით ქედი მოვიხაროთ ამ ნახევრათ ღმერთების წინაშე იმათ შესძლეს ის, რაც ჩვენთვის მიუწდომელია. შეჰქმნეს დიდებული საქმე, განამტკიცეს იგი და კიდევ მოქმედებენ. არავინ იცის კვლავ განახლდება, თუ არა თავისებურობა პიროვნებისა, შეჰქმნის რაიმე ახალ გზას კაცობრიობა თუ დაუსრულებლივ ივლის ძველ საუკუნეთაგან გაკვეთილ გზაზე, მაგრამ რაც უნდა დიდებული მომავალი ჰქონდეს კაცობრიობას, რაც უნდა შესანიშნავი წინამძღოლი გაუჩნდეს მას, იესოს მაინც ვერავინ გადააჭარბებს, იესოზე უდიდესი ვერ იქნება. მისი სარწმუნოება მარადის დარჩება და იყვავილებს, მისის ლეგენდის გამგონენი ყოველთვის დაღვრიან ლმობიერ ცრემლებს, მისი ტანჯვა საზიარო იქნება ყველა სულით და გულით ამაღლებულთათვის და ყოველთვის აღიარებენ, რომ იესოზე დიდებული **ძე კაცისა** ჯერ არ დაბადებულაო...

რ—ი

## აღდგომა—ღამეს.

I.

ის ის იყო შუა ღამე სრულდებოდა, როდესაც სატუსაღოს ეკლესიაზე ზარს ჩამოჰკრეს.

საყდარი სანთლებით იყო გაჩაღებული.

მღვდელს შავი შესამოსი თეთრით შეცვალა და ტრაპეზში გუნდრუკს აკმევდა.

რუხ ხალათებში გამოწყობილ ტუსაღებს ხელში წმინდა სანთლები დაეკავებინათ და გამხდარს სახეზე მხიარულების ღიმილი უკრთოდათ.

ყველას სახე უბრწყინავდა, ყველას იმედი მისცემოდა და აღტაცებით ეგებებოდა დიდებულ დღესასწაულს.

ხან და ხან, ეკლესიის კუნჭულში მდგომ ტუსაღთა შორის გაისმოდა მძიმე ამონაკვნესის ნაღვლიანი ხმა და ბორკილების ყრუ ჩხარუნი, მაგრამ ეს ხმები მაშინვე იკარგებოდა ტუსაღებისგანვე შემდგარ გუნდის „ქრისტე აღსდგას“ გალობაში. იმ გალობაში, რომელიც თავისუფლებისა და ერთობის იმედს გულში გვისახავს და მიგვაფრენს საოცნებო მხარისკენ, სადაც სიყვარული და თანასწორობაა გამეფებული.

ციხის დიდი ოთახები დაცარიელებულიყო: იმ ღამეს ტუსაღებს ნება მისცეს ეკლესიაში გასულიყვნენ და იქ შეგებებოდნენ დიდს დღესასწაულს. პატარპატარა საკნები კი ისევ მაგრათ ჩაეკეტათ. მათში მყოფს დაბორკილს ტუსაღებს სული ეხუთებოდათ, გული უკვდებოდათ და აუტანელ სულის ტკივილებს განიცდიდნენ. ბნელ, ნესტიან კედლებს შორის მათ ყურს არ ესმოდა გამამხნევებელი „ქრისტე აღსდგას“ ხმები და ისინიც გულშივე კლავდნენ პასუხად სათქმელს „ჭეშმარიტად“-ს.

საეკლესიო გალობის თითოეული ჰანგი მათ აგონებდა ბავშობას, აგონებდა წარსულს... დედას... ცოლს... შვილებს... მეგობრებს... ნათესავებს... მხიარულებას... თავისუფლებას!...

აი, მათ გონების თვალწინ ილევა სოფლის საყდარი, რომლის გარშემო სანთლებით ხელში ლიტანიას უვლიან და ერთად გალობენ: „აღდგომასა შენსა, უფალო“...

საყდრის ეზოში მიყრილ-მოყრილი საფლავებიც განათებულია.. თითოეულ საფლავზე კიაფობენ წმინდა სანთლები. აგერ, განაპირა საფლავზე პატარა გოგოს თავის დედისთვის წითელი კვერცხები და ტაბლა მოუტანია, აგერ პასკაც... აქ დაბმული მტრედი ფირთქინობს, იქით კიდევ სანთლები პარპალებენ...

მხიარულობს ყველა და ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას ულოცავენ.

აგონდებათ ყველა ეს მარტოთ მარტო ჩამწყვდეულ ტუსაღებს და გულ-აჩუყებულნი, გაბრუებულნი ყურს უგდებენ სააღდგომო ზარის ხმას.. იმათაც უნდათ თქვან: „ქრისტე აღსდგა“, მაგრამ ვის მიმართონ?! ვის?...

ვინ გაუგონებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრისტე აღსდგა, მკითხველო!

II.

დაცარიელებულ ციხის ერთ საერთო ოთახის კუთხეში ვიღაცა ატუზულიყო, სული გაენაბა და გულის ძგერით ყური წაეგდო გრძელ დერეფანში მიმომსვლელთა ფეხის ხმისათვის.

ეს გახლდათ ის ადამიანი, რომლის მგრძნობიარე გულს ვერ იტევდა საპყრობილის ნესტიანი ბნელი დარბაზი და სურდა ბუნების კალთაზე ნავარდი, თავისუფლათ სუნთქვა, მზის სხივების ალერსი, თბილი ჰაერი, გაღვიძებული, ამწვანებული ბუნების ცქერა, ფერად-ფერადი ყვავილების კრეფა, ფრინველების მხიარული ჟივილ-ხივილის მოსმენა და მათთან ერთად გაზაფხულის სიმშვენიერით დატკბობა, მაგრამ წყეული ციხის კედლები გასაქანს არ აძლევდენ...

ახლა კი, როდესაც ციხის ოთახის კარები ღია დარჩათ, ამ ტუსაღს თავში გაუელვა გაქცევის ფიქრმა. ამიტომ ის ეკლესიაში აღარ წავიდა და ლანდივით კედელზე აკრული, სულ გაკმენდილი კედელ-კედელ მიფორთხავდა გრძელ დერეფნისაკენ...

თვალთ უბნელდებოდა, გული მისი საგულედან ამოვარდნას ლამობდა...

ჩუ! ფეხის ხმა შემოესმა, გულმა ძგერა უმატა, ტუსაღმა სული განაბა და კარს ამოეფარა. ეს ციხის ზედამხედველი გახლდათ, რომელიც ეკლესიისკენ მიდიოდა. მან ვერ შეამჩნია გასუდრული ტუსაღი და გვერდი აუარა. როდესაც ტუსაღს გული დაუმშვიდდა, ის უფრო მეტის მორიდებით, მეტის სიფრთხილით და ჩუმის, ნელი ნაბიჯით გავიდა ეზოში და უცბათ დარაჯს შეეჯახა. ერთს წამს ორივე გაშტერებული შეჩერებოდენ ერთმანეთს, მაგრამ ტუსაღმა გული მოიცა თავისუფლების სურვილმა შიში დაუკარგა, მარდათ შეახტა ციხის გალავანს და გადალმა გადახტომა დააპირა. დარაჯმა ხმა მაღლა დაიღრიალა „შეჩერდი“-ო და ნიშანი ამოიღო.

იგრიალა თოფმა და დაკოდილი ტუსაღი ფრთა მოტეხილს ჩიტივით ძირს დაეცა.

მაშინვე თავს შემოეხვიენ დაჭრილს ტუსაღს სხვა დარაჯები. მოვიდა ციხის უფროსიც, უშვერის სიტყვებით მიმართა ნახევრათ გრძნობა დაკარგულს, სისხლში გასვრილს ტუსაღს და აღელვებულის ხმით გაიძახოდა: „ღალატია, ღალატი... ჩქარა ციხეს ალყა, ალყა შემოარტყითო“.

დაჭრილი ტუსაღი კი რაღაცას ლუღლუღებდა, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა. ის მაშინვე დაგლეჯილს მაზარაზე დააწვინეს და საავათმყოფოსკენ წაიღეს.

როდესაც ეკლესიის კარებთან გაატარეს, მას შემოესმა ძლიერი საალდგომო გალობის ხმა. ტუსაღი უცბათ შეინძრა, თვალები გახილა და გაჩაღებულ ეკლესიისკენ მიიხედა.

— ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, საკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი!!.. ისმოდა ეკლესიიდან.

ამ სიტყვებზე ტუსაღის მეხსიერებაში ათასნაირი სურათი წამოიშალა. მას მოაგონდა წარსული, მოაგონდა სოფელი, ხალხი... გაჭირვებული მოხუცი მამა... დღესასწაულის შეხვედრა... ხელი მაღლა ასწია, უნდოდა პირჯვარი გამოესახა, მაგრამ ვერ შესძლო... ხელი აღარ ემორჩილებოდა.

გათენებისას ის უბრალო კუბოში იდო და მის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს სატუსაღოს ფანჯარაზე შემომჯდარი ბეღურა ჩიტი ჩრიტინით აღდგომას ულოცავდა.

საბრალო, წელში მოხრილი მამა მისი კი ციხის კარებთან იდგა, პურები და წითელი კვერცხები მოეტანა თავის შვილისთვის და მის ნახვას ელოდებოდა...

**გიორგი ნიორაძე.**

## „ვიზიტების“ მაგიერ.

— ბედნიერი კაცი ხარ, ბატონო! — შურით მივმართე ჩემს რედაქტორს.—აუარებელი მეგობრები გყავს, მთელი ქუთაისი გიცნობს, რედაქტორს აღდგომას გაემართები სადარბაზოთ და, ვინ იცის, მთელი კვირა ვერ ჩამოუარო ყველა ნაცნობ-მეგობრებს... მშურს შენი მდგომარეობა!

რედაქტორმა ულვაშებში მწარედ ჩაიცინა და გულდაწყვეტილმა მითხრა:

— დამცინი და მართალიცა ხარ. რის დარბაზობა, კაცო! დარბაზობა კი არა, ქუჩაში რომ გამოვდივარ, თვალებს კურდღელივით ვაცეცებ,—ზურგიდან არავინ მომეპაროს და კეტი არ მდრუზოს. ძალიან სხვანაირი ხალხი ყოფილა ამ დალოცვილ ქუთაისში. რედაქტორი კი არა, რაღაც თოჯინა ვარ და სხვა არაფერი. ხმა ვერ ამომიღია, გაზეთში ვერაფერი დამიწერია; ან რა საჭიროა რამე დავწერო? ერთმანეთის ჯიბრით გაზეთს აღარავინ კითხულობს. აი, მაგალითად: დამატებაში ქალაქის თავის სურათი რათ დაბეჭდეო, ერთმა ხელის მომწერმა ს.—მა გაზეთზე უარი სთქვა.

ი.—მა მითხრა: „იმ გაზეთს არ წავიკითხავ, რომელშიაც ს—ს ცოლის სიტყვაა დაბეჭდილიო“. კაცო, მე რა ვქნა, თუ ეს სიტყვა მთელი საზოგადოების მინდობილობით იყო წარმოთქმული?!

კათოლიკეთა პასტორს რათ შეეხეო — ერთმა გაზეთი თავზე გადამახია.

ვასილ წერეთელი რა ისეთი გამოჩენილი პირია, რომ მისი სახე გამოსჭიმე დამატებაშიო,—კინაღამ მცემეს.

ერთმა მანდილოსანმა კინაღამ თვალები ამომკაწრა,—რატომ იმას სახელი ახსენე გაზეთში და ჩემი-კი არაო... ვეუბნები,—ქ-ნო, როცა თქვენც რასმეს კარგს გააკეთებთ საზოგადო ასპარეზზე, თქვენს სახელსაც მოვიხსენიებ-მეთქი. „არა! საცა იმას სახელი იქნება,—იქ ჩემიც უნდა იყოს... იმას ჩემზე წინ თავის დღეში არ გავუშვებო“ მაგონდება ილია ჭავჭავაძის სცენებიდან—„აზნაურის ქვრივი“.

ერთ პატივსაცემ ოჯახში შემთხვევით შევიარე. ოჯახის დიასახლისს გაეშალა ჩვენი გაზეთის დამატება, საცა განსვენებული გელოვანი იყო დახატული და მის გვერდით ჩვენი ახალგაზდა მწერალი ჯაჯუ ჯორჯიკია. ძალიან ესიამოვნათ ჩემი მისვლა.

მანდილოსანი დამეკითხა: „რა კაცები არიან ესენი, რომ დაგიხატავთ გაზეთშიო“.

მეც ავუხსენი, ვინ იყო ჩვენი ქვეყნისთვის გელოვანი, ან რა გააკეთა და ვინ არის ჯორჯიკია. რაღაც სხვანაირად ჩაიქნია თავი. მართალი გითხრა,—არ მომეწონა!—ღმერთო, დაგელოცა სამართალი! სასოებით წარმოთქვა მან ამის სიკვდილს, (გელოვანის სურათზე მიმითითა) ეს მომკვდარიყო, არ ჯობდა?! და თითი შიგ თვალებში ჰკრა ჯაჯუს. თქვენც-კი ვერ ყოფილხართ კარგი რედაქტორი,—რომ ყველას სურათებს ბეჭდავთ გაზეთში“... ისეთის თვალებით შემომხედა, ასე მეგონა მახათი მკრესმეთქი,—წამოვიჭერ სკამიდან და გარედ გამოვედი.

ვისაც შევხვდები ყველა იმას მეუბნება,—არ გაბედო და არაფერი დასწერო, არც მღვდელზე, არც ერის კაცზე, არც მოწაფეზე, არც გათხოვილზე, არც გასათხოვარზე... მაშ რაღა ჯანაბის რედაქტორი ვარ?.. რიღას გაზეთია?! მარტო სამგლოვიარო განცხადებები უნდა ვბეჭდო? რომ არც არავინ კვდება! მეც, მღვდელივით, ყველას ფეხებში მივჩერებივარ, ვინ მოკვდება, რომ იქნება განცხადება დაგვაბეჭდინოს და რამე შემოვიდეს-მეთქი... ისე გაზეთს აღარავინ ყიდულობს... ტირაჟი დაეცა... გაზეთს დავხურავ, ჯანაბას, მაგრამ ეს ამოდენა ხალხი რომ მტრად გადმეკიდა,—ამას-კი, აღარ ვიცი რითი ვუწამლო... მასწავლებლობაც ძნელი ყოფილა. უვიცსა და მცოდნეს—ყველას კარგი ნიშნები უნდა დაუწერო. ამით, მართალია, ცემას გადარჩები, მაგრამ, სულერთია, სასწავლებლის მთავრობა დაგითხოვს, როგორც უვარგის პედაგოგს. არ ვიცი, რა წყალში ჩავარდე, რომელ ხეზე ჩამოვიხრჩო თავი?!.

კაცო, თუ ვინმე მოღვაწის სურათი დავბეჭდე, ან, ვისმეზე რამე ვსთქვი,—მეუბნებიან—ის სხვა პარტიისაა და ამით მე მინდა ჩემს პარტიაში გადმოვიტყუო! ამისთანა ცეცხლი იქნება?!..

ღმერთი გაგატიალებს, შენ ვიღაცას რაღაცა მეგობრულად უხუმრე, მე მოციქულები გამომიგზავნეს და კინაღამ დუელში არ გამიწვიეს! ეხლა იმის მეგობრებიც თავს აღარ მიკრავენ! ერთი სიტყვით, ყველაფერში დამნაშავე მე ვარ! არ ვიცი, ამ ხალხს როგორ ესმით პრესა და იმისი დანიშნულება?!

რედაქტორი მართლაც დაღონდა.

ეხლა აღარ მშურდა მისი მდგომარეობა.

სწორე გითხრათ, არ ვიცოდი, თუ ამ „მხვილმან“ ქუთაისში ასეთი წვრილმანი ხალხი სცხოვრობდა. რედაქტორობა საპატიო თანამდებობა მეგონა და ვნატრობდი, ნეტა მეც გავხდე როდისმე—მეთქი... ეხლა-კი, ღმერთმა მაშოროს!! მეტისმეტად „იდიოტურ“ მდგომარეობაში ყოფილან ჩვენი რედაქტორები. სჩანს ქუთაისში ასეთი ტაქტიკა ყოფილა საჭირო: რედაქტორი ჯერ უნდა საზოგადოებას შეეკითხოს და მერე დაბეჭდოს ესა თუ ის წერილი. მაგრამ აქაც უბედურებაა! თუ ვისმეს ნაკლი აღნიშნე და მიუთითე ამ ნაკლზე,—ეწყინება და ნებას არ მოგცემს დაბეჭდო. თუ აქე,—მართალია ნაქებს ესიამოვნება, მაგამ, მეორეს, მის მეტოქეს, შურს აღუძრავს და არ დაგაბეჭდინებს. მაშ რა ვქნათ? ისევ ისა სჯობია, ვწეროთ ისეთი წერილები, რომლებიც,—არავის, არაფერს, არაფერზე და არაფერში არ შეეხება. მაშინ გაზეთის მკითხველიც მოგვემატება და ჟურნალისტებიც ცემისაგან უზრუნველყოფილნი იქნებიან.

— მაშ ასე, ბ. რედაქტორო! დავარღვიე დიდი ხნის სიჩუმე.

— ასე!—ამოოხვრით მიპასუხა.

— იცი, რას გირჩევ? რაკი საქმე ასე მოაწყო, მოდი, სადარბაზოთ ნუ „წაბრძანდები“, თორემ სახლში კი ვეღარ „მობრძანდები“,—არამედ დროგით მიგიტანენ და, მეშინია, ნაალდგომევს ურედაქტოროთ არ დარჩეს ჩვენი გაზეთი. მკითხველებს-კი გაზეთის საშუალებით მივულოცოთ აღდგომა.—ჩვენო მკითხველო, ქრისტე აღსდგა-თქო!

ვისაც ბრაზი მოუვა და გაჯავრდება, რა გვენაღვლება, ჩვენ ხომ იქ არ ვიქნებით, ეცნენ და დახიონ გაზეთი. შაური ტყუილად ხომ არ მიუცია?...—ჩვენ—კი, მე და შენ, დავსხდეთ რედაქციაში, ჩავიკეტოთ კარები, რომ არავინ შემოგვივარდეს და ამ დამწვარ გულზე ერთმანეთს შევძახოთ:

— ქრისტე აღსდგა!

**კ შ.**

# ახალი ამბავი.

✦ **თათბირი დამშეულთა დასახმარებლად.** 20 მარტს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში გუბერნიის წინამძ. თავ. დ. თ. ნიჟარაძის თავჯდომარეობით მოხდა დეპუტატებისა და რამდენიმე კერძო პირის თათბირი დასავლეთ საქართველოს იმ მაზრების შესახებ, რომელიც დამშეულნი არიან. ბოლოს კრებამ აირჩია ეგრეთწოდებული საგუბერნიო კომიტეტი. თავჯდომარეთ: თავადი დ. ო. ნიჟარაძე. წევრებათ: დეპუტატთა საკრებულოს ყველა წევრები, თითო წევრი საადგილმამულო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტისაგან, ქალაქის გამგეობიდან ი. მ. ჩიქოვანი, შავი ქვის საბჭოდან კ. აბაშიძე, საურთიერთო ნდობის ბანკიდან რ. ყ. დათეშიძე, სამეურნეო საზოგადოებიდან თავ. პ. წულუკიძე, ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზ. ქუთ. განყოფილებიდან ქ. ქ. მელანია გველესიანისა და ეკ. ნიკოლაძისა, სახალხო უნივერსიტეტიდან ალ. ალ. გარსევანი-

## უკანასკნელი ცრემლი.

შუაღამე იყო.

წვიმის წვეთები მოსაწყენად ეცემოდნენ. ზოგჯერ ქარი თუ დაჰბერავდა და შესცვლიდა მის ხევდის მომგვრელ ერთგვარობას. იყო ღამე ბნელი, უკუმეთი.

პატარა მიწურ ქოხში, კერის ძირას რომელზედაც მხოლოდ ერთი მუგუზალი ღა ეგდო და საცოდავათ ბჟუტავდა,—მაია იჯდა.

გრძელი, გამხმარი მკლავები მუხლებზე შემოეჭდო, დანაოჭებული ნიკაპი მუხლებ შუა ჩაედო და მიმქრალის თვალებით ცეცხლს დასცქეროდა.

ოდესღაც ლამაზი, ახოვანი და სიცოცხლით სავსე მაია, ეხლა უფრო განხორციელებულ მწუხარებას, ტანჯვა-ვაებას, რომელიმე ხელოვნისაგან გამოკვეთილს ქანდაკს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. მის დანაოჭებულს, დაღარულს სახეს ამ სოფლის უსამართლობა და ბუნების რისხვა ზედ აღბეჭდოდა.

ქოხში ს. მარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ამ სიჩუმეს მაიას გულიდან ამოჭრილი ოხვრა თუ დაარღვევდა; თანაც რაღაც სიტყვას წამოისროდა; რომლის მხოლოდ ზოგიერთი ხმოვანი ასოები ირჩეოდა.

გარედ, კარის ძირას, სიცივისაგან მოგრეხილი მურა ძაღლი იწვა. ესღა დარჩენოდა მაიას მისი ავლა-დიდებისა და მრავალრიცხოვან ოჯახისაგან. მურია იყო მისი ერთად-ერთი მეგობარი. შემოაწვებოდა თუ არა მაიას გულზე სევდა, მოუხმობდა ხოლმე მურიას და ებაასებოდა როგორც ადამიანს.

— რაო, მურიავ! დავრჩით მე და შენ, მარტოთ-მარტო, მთელს ოჯახში!.. აღარავინ,—მზრუნველიც-კი არა გვყავს. მურიაც მიაჩერდებოდა ხოლმე გონიერის თვალებით და კუდის ქნევით წმუკუნს მოჰყვებოდა.

მაია საშინელ წუთებს განიცდიდა: აღდგომა მომავალი იყო. მას მოაგონდა განვლილი ბედნიერი დღეები და შეადარა აწმყოს. წარსულში—ყველაფრით სავსე ოჯახი, ბედნიერი ცოლი და ასეთივე დედა,—ეხლა-კი სულ მარტოთ მარტო და ცარიელი მჭვარტლიანი კედლები.

მხოლოდ მოლოდინი და იმედი.

მაგრამ ამხანათ მურიასთან ბაასი მაინც რა უნდოდა.

იგი ებაასებოდა თავის გულს, ფიქრისა და დარდით ავსებულს და მხოლოდ ამაში ჰპოებდა მოსვენებას.

საერთო დუმილი მურიას ყეფამ დაარღვია. ყეფას მოჰყვა გულშემზარავი ღმუილი.

მაია წამოდგა, აიმართა, წელში გასწორდა და შეშინებული თვალები კარებს მიაპყრო.

ჭუჭრუტანაში უკვე დღის სინათლე შემოჭრილიყო.

— მურია, შე სამგლევ! ათრთოლებულის ხმით დაიგმინა მან, დასტაცა ჯოხს ხელი, გავარდა გარედ და ძაღლს ცემა დაუწყო. ძაღლი აყვირდა, აყეფდა და ნაცემმა თავის მწუხარება ისევ ღმუილით დაასრულა. მაიას ცეცხლივით აენთო თვალები, მზათ იყო შუა გაეგლიჯა ძაღლი, მაგრამ მუხლებმოკვეთილმა იქვე კართან ჩაიკეცა. დიდი ხნის უმწეო ოხვრა-კვნესის შემდეგ წამოიჭრა და გიჟივით ჭიშკრისაკენ გაექანა.

მის მეზობლათ სცხოვრობდა მღვდელი, მისი მოძღვარი. როცა მაიას რაიმე უბედურება დაატყდებოდა, ანუ სევდა შემოაწვებოდა, მღვდელთან ჰპოებდა ნუგეშს. მღვდელსაც, როგორც მრავალ ჭირთა გამვლელ ადამიანს, მაია ებრალებოდა.

მღვდელი უკვე ამდგარიყო და დილის ცისკრისათვის ემზადებოდა, როცა აღელვებული მაია მიიჭრა.

— მაია, რამ აგაშფოთა ამ დილა-ადრიან,—ჰკითხა გაკვირვებულმა მოძღვარმა.

— მამაო, ძაღლი ღმუის... ცუდათა მაქვს დაცდილი... ნუთუ ეს უკანასკნელი ნუგეშიც... მაიამ სიტყვა ვეღარ დაასრულა, ბოღმა ყელში მოაწვა, მაგრამ თვალები კი მშრალად გამოიყურებოდნენ.

— არაფერია... უთხრა მღვდელმა და თავი დაღუნა,—მერე რა უყოთ, ძაღლს შესცივდა და ღმუილი დაიწყო... ახირებული ადამიანი ხარ... ყველაფერი ბოროტებათ გეჩვენება... ანუგეშებდა, მაგრამ თითონაც არა სჯეროდა თვისი სიტყვებისა.

— მამაო, ეს მესამეა!.. თავის დღით მხოლოდ ქმარი მომიკვდა... ორი შვილი მომიკლეს... ნუთუ ესეც?! ამოიოხრა მაიამ და გამომშრალის თვალებით მღვდელს მიაჩერდა. დარცხვენილმა მღვდელმა პირი მიიბრუნა.

მართლაც, უფროსი შვილი მაიას ომში მოუკლეს... მოჰკლეს, მაგრამ მაიამ დღესაც არ იცოდა,—სად, ან რისთვის... მეორე შვილს მის თვალწინ გამოსჭრეს ყელი. მოვიდნენ, სახლი დასწვეს და შვილი დაუკლეს. ვერც ეს გაიგო—რისთვის? ამის დამნახველს მამას, ელდა ეცა, ჭკუაზე შესცდა და წლის თავზე მოკვდა. ეხლა ეს მესამე... ომში გაიწვიეს, ოთხი წელიწადი ჯარში იყო, დაბრუნდა თუ არა სახლში, ერთთვეზე ისევ წაიყვანეს. ბევრი ირბინა მაიამ, ყველას ეხვეწა, ემუდარა, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ბოლოს უთხრეს,—ჩვენს ქვეყანას მტერი შემოესია და ახრებას უპირებს... მაია მხოლოდ მაშინ გაჩერდა. „თუ ჩვენს ქვეყანას მტერი კარზე მოადგა, რა გაეწყობა... მაშ რის მაქნისია ვაჟკაცი, თუ მტერს წინ არ დაუხვდებაო“,—ამბობდა მაია... ამას ალაპარაკებდა მისი ბუნებრივი სიამაყე, თან შეზრდილი თავმოყვარეობა, მაგრამ დედის გული კი სულ სხვასა გრძნობდა. ამიტომაც იყო, მაია თითქოს დამუნჯდა და თვალები გაუშრაო, ხმას არ იღებდა, არც სტიროდა; გულში ჩაიკლა დარდი-ვარამი და ელოდა, ელოდა... თავის უკანასკნელ შვილს—სერაფიონს.

— მამაო, მართლა ჩვენს ქვეყანას შემოესია მტერი? დიდი სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მაიამ.

— ჰო, შვილო, ჩვენს ქვეყანას... ქვეყანა განსაცდელშია... მაშ რის მაქნისი არიან ჩვენი შვილები, თუ მტრისაგან არ დაგვიფარავენ?! არ გახსოვს—გიამბობდი ხოლმე:—რა იყვნენ ძველად ჩვენი დედები... რა ნაირად ზრდიდნენ შვილებს და როგორის ხალისით ისტუმრებდენ ომში მტერთან საბრძოლველად?!. ანუგეშებდა მოძღვარი და თან ემზადებოდა ეკლესიაში წასასვლელად. შენც ეგრე გმართებს... დ განა მარტო შენა ხარ ამ დღეში? გაახილე თვალები—ყველა შენ მდგომარეობაშია..

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ—მე? მაია თვალს არ აშორებდა მღვდელს.

— შენა?.. მღვდელი შედგა ამ კითხვას არ მოელოდა. ღმერთი მოწყალეა! ხმადაბლა მიუგო მოძღვარმა და ჯოხი ხელში აიღო.—ეხლა წადი სახლში მოემზადე... ხვალ აღდგომაა...

მღვდელი კიბეზე ჩამოვიდა და ეკლესიისაკენ გაემართა.

მაია მისდევდა ხმა ამოუღებლივ და ეს დუმილი ბუტბუტნელ ტვირთად დაწოლოდა მღვდელს. ჭიშკარს გასცილდენ. ერთმანეთს უნდა დაშორებოდენ და სხვადასხვა გზით წასულიყვენ.

მაია შედგა. რაღაც ძალამ მღვდელიც შეაყენა. ორთავენი თავჩაკიდული სდუმდენ. ამ დუმილში დაჰყვეს რამდენიმე წუთი. ბოლოს მაია ისარ ნაკრავსავით მოტრიალდა და ჩქარის ნაბიჯით სახლისკენ გაეშურა.

მღვდელი მხოლოდ ეკლესიის ზარის ხმამ გამოარკვია და მძიმე ნაბიჯით გზას გაუდგა.

განთიადის სხივებმა წყვდიადი გაჰფანტა, ეკლესიის ზარის მხიარულმა გუგუნმა ღამის მყუდროება დაარღვია.

დიდებულ დღესასწაულის მოლოდინში სულგანაბულმა სოფელმა გაიღვიძა. ქალი, კაცი, მოხუცი, თუ ახალგაზდა, სადღესასწაულოთ მორთულ მოკაზმული ეკლესიისაკენ მიეშურებოდა.

სოფელი წელიწადში ერთხელ განიცდის ხოლმე რამდენიმე საათს ბედნიერებისას, როცა ავიწყდება ყოველგვარი ჭირვარამი, სახეც ბედნიერებისაგან უღიმის, გულიც სიამოვნებით უცემს და თავისუფლადაც სუნთქავს. ყველა უყვარს—მტერი და მოყვარე, ორგული და ერთგული, თვით პირუტყვის გასაჭირსაც კი იზიარებს. ეს არის აღდგომის მოლოდინი წირვის დასრულებამდე. ხოლო წირვის შემდეგ, შინ დაბრუნებისას, იგემებს თუ არა წითელ კვერცხს, აღდგომის კვერცხთან ერთად ეს ბედნიერება იმსხვრევა და სოფელს ჩვეულებრივი მწუხრის ზეწარი გადაეფარება ხოლმე.

ბედნიერებას მოწყურებული სოფელიც ხარბად დაწაფებოდა ამ რამდენიმე საათს და მისი მხიარული ჟრიამული ესისხლხორცებოდა ლაღ ბუნებას.

ამ მხიარულ ჰარმონიას არღვევდა მაიას ჭიშკართან გაჩერებული ორი კაცის,—მღვდლისა და მამასახლისის ბაასი.

— მამაო, ჯობია დავიცადოთ... დღე მაგ უბედურსაც გაუთენდეს მხიარული

შვილი. სამეურნეო შკოლიდან გ. ა. შარაშიძე.

კერძო პირებიდან აირჩიეს: ევგ. პ. გეგეჭკორი, ნ. დ. ლორთქიფანიძე, გრ. კ. ალშიბაია, სპ. გ. ჯორჯიკია, პ. ი. გოკიელი, სტ. ლ. ვ. ქორქაშვილი, ნ. ბარაბაძე, ვ. იაკობიშვილი, არონ ელიგულაშვილი, ნ. დ. ჯანელიძე, არონ რიჟინაშვილი და მიხეილ მოშიაშვილი.

საქმის მწარმოებლათ ფ. ჩაჩიბაია და მდივნათ ი. პ. მაჭავარიანი.

კომიტეტის მიზანია შეკრიბოს სხვა და სხვა შემოწირულება დამშეულთა დასახმარებლათ. მოაწყოს სიმინდის საწყობები, რის შემწეობით დამშეულებს სიმინდი იაფათ დაეთმობათ, კომიტეტმა მთავრობასთან და სხვა და სხვა დაწესებულებებთან შეამდგომლობა უნდა აღძრას, რომ მოუსავლობით დაზარალებულთ დახმარება აღმოუჩინონ.

კომიტეტი აგრეთვე დახმარებას გაუწევს იმ მხვნელ-მთესველებს, რომელთაც მუშა ხელი აკლიათ.

✦ თანახმათ მეფის მოადგილის სავალდებულო დადგენილებისა ქუთაისის გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რომ სამი ათასი მანეთით დაჯარიმებული იქნება, ვინც ქუთაისში ჩუმათ ღვინოს გაყიდის.

ღვინის გაყიდვის ნება ეძლევა მხოლოდ ქუთ. საზოგადო საკრებულოსა და იმ რესტორანებს, რომელთაც ბილეთი აქვთ პირველი ან მეორე რიგის მოწმობები.

✦ ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეთა გამოცდები 26 მარტიდან განახლდება.

მეექვსე კლასის მოწაფეთა გამოცდები 31 მარტიდან დაიწყება და დასრულდება 6 მაისს.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ქართული დრუჟინის უფროსი პოლკოვნიკი თავ. დ. ო. ნიჟარაძე გუშინ, 21 მარტს, სოფ. ოფშკვითში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე დღეს დარჩება.

✦ ქართული გიმნაზიის დეპუტატი, ქ. სოხუმის რეალური სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ზახარევი დაუნიშნავთ ქნ მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის დეპუტატათაც.

✦ ხვალ, 23 მარტს, ქუთ. კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო საღამო ორი განყოფილებით. შემოსავლის 10 პროც. გადაიდება ომის სხვადასხვა საჭიროებისათვის, ხოლო დანარჩენი—ხსენებული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

✦ რაჟდენ ხაზარაძემ ქუჩაში იპოვა ვიღაცას საუნივერსიტეტო ნიშანი (ზნაჩოკი). პატრონმა უნდა მოიკითხოს რუბანის ქუჩაზე, სახლი № 5.

---

აღდგომა და მერეც მოვესწრებით. მორიდებით სთქვა მამასახლისმა.

— არა, შვილო, ახლა სჯობია... საერთო ბედნიერებაში ერთის უბედურება უფრო მცირე გამოჩნდება... მიუგო მღვდელმა და ამ ლაპარაკით მაიას, სახლსაც მიუახლოვდენ.

— მაია!.. სახლში ხარ? გამოეხმაურა მამასახლისი.

— მობრძანდით! მოისმა სახლიდან.

მამასახლისმა კარი შეაღო. მაია ცეცხლის პირს მოკუმშულიყო.

სახლში შევიდენ.

მათ დანახვაზე მაია წამოდგა, რაღაცნაირად წამოიზიდა, წელში გაიმართა და გაგანივრებული თვალები მომსვლელთ მიაპყრო.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— მამაო, შენ არა ხარ კეთილის მაუწყებელი!..

წამოიძახა მაიამ.

— არა!.. ძლივ გასაგონათ ჩაილაპარა მოძღვარმა...

მაია უფრო აიზიდა, აიწურა.

— ეს არის, ეხლა მოუვიდა ცნობა მამასახლისს, განაგრძო ღვდელმა,—რომ შენი შვილი სერაფიონი... მოუკლავთ!..

— ესეც!! დაიყვირა მაიამ და ათრთოლდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამასახლისი კარებთან ატუზულიყო, მღვდელი კი თავჩაკიდული ცეცხლს დასცქეროდა.

— იტირე, შე უბედურო... გულს მოგეშვება... ძლივს მოახერხა მღვდელმა.

— ცრემლი აღარა მაქვს. მე იგი სულ დავაფრქვიე. სამარისებურის ხმით ჩაილაპარაკა მაიამ.

— წამოდი ეკლესიაში, ილოცე და დედამღვთისა სიმშვიდეს მოგანიჭებს.

მაიამ ველ ნაკბენივით თავი ასწია და მღვდელს შეხედა.

## თეატრი.

ქართ. მსახიობთა დასი ამ კვირაში გამართავს რამდენიმე წარმოდგენას. ორშაბათ, 26 მარტს წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“, ჰამლეტის როლს შეასრულებს განსაკუთრებით ამ როლისათვის მოწვეული მსახიობი—ი. ზარდალიშვილი, დანარჩენი როლები განაწილებულია დასის საუკეთესო ძალთა შორის.

თხშაბათს, 25 მარტს, წარმოდგენილი იქნება, პირველად ქუთაისის სცენაზე, ახალი პიესა ჰერგარტ გაუპტმანის „დაძირული ზარი“. ამ პიესაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი, იკვრება ტანისამოსი და იხატება დეკორაციის ნაწილი.

ხუთშაბათს, 26 მარტს, წარმოდგენილი იქნება ფ. შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები“, ფრანცის როლს შეასრულებს ბ. ზარდალიშვილი, კარლოსის როლს პირველად თამაშობს ბ. ყალაბეგიშვილი. მონაწილეობს მთელი დასი.

პარასკევს, 27 მარტს, გამართული იქნება იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ“, ავქსენტი ცაგარლისა და ივ. გომართლის ორიგინალური პიესა „ისთონის თინები“.

შაბათს, 28 მარტს—„დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ყველა გამოცხადებულ წარმოდგენებზე ბილეთები იყიდება.

# ქალთა ბრძოლა

**უფლებისათვის.**

რა მხარე და მოვლენა გნებავთ ცხოვრებისა აიღოთ ისეთი, რომ ომის გავლენა არ დატყობოდეს მას. არ დარჩენილა არც ერთი კუნძული ზღვისა და ხმელეთისა, რომ ომს იქ თავისი რამე არ შეეტანოს და ცხოვრება არ აეფორიაქებინოს. დედამიწის მეორე გვერდის ქვეყანა—ამერიკაც ძირიანათ არის მისგან შეშფოთებული და მისი კონსერვატიზმით ნაქები შტატი-ნიორკი დღეს ომის ზეგავლენით ქალთათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებასაც ქადაგებს.

ამ დღეებში ნიუორკის შტატის საკანონმდებლო კრებამ მიიღო ბილი (კანონ-პროექტი), რომლის თანახმათ მომავალი არჩევნების დროს მთელი შტატის უფლება მოსილი მამაკაცები შეკითხულ უნდა იქნან: ქალებსაც მიეცეს საარჩევნო ხმის უფლება, თუ არა? ამერიკის მქადაგებელმა ქალებმა-ფემინისტკებმა“ თავისი გულმხურვალე აგიტაციით დღემდე მიაღწიეს იმას, რომ ეს საკითხი კონსერვატიულ ნიუიორკის საკანონმდებლო კრებაზე წამოაყენეს და მიაღებიეს კიდეც მას.

ახლა საქმე იმაშია, რომ ეს საკითხი ამრჩეველ მამაკაცთა შორისაც გაატარონ და ამაზე ცხარე აგიტაცია გაწიონ, რომ მომავალ ნოემბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ხმის უფლება ქალებსაც მიენიჭოს.

ბევრია ამერიკაში ქალთა საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგე, რომლებსაც „ანტის“ ეძახიან; მარა მათ ჩასაჩუმებლათ ყველ ღონესა და საშუალებას ხმარობენ „ფემინისტკები“, რომ თავისი გაიტანონ. „ანტების“ საწინააღმდეგოთ ისინი მუშა ქალებსაც გვერდში უდგებიან და როცა სადმე შტატში მათი „დიდი გაფიცვაა“ გამართული, ისინი გაბედულათ გაიძახიან: „აი ახლა მუშა ქალებს რომ საარჩევნო უფლება ჰქონდეთ მინიჭებული, მათ მოთხოვნილებას აუცილებლათ დააკმაყოფილებდნო“.

დღევანდელმა, ძირფესვიანათ ამფორიაქებელმა მსოფლიო ომმა მისცა მათ საბაბი ასეთი აგიტაციის და ისინიც ახლა ცდილობენ ომიანობის ზოგი მხარეები თავისი აგიტაციისთვის გამოიყენონ.

ომის წინ, მაგალითათ, გერმანიაში, სამოქალაქო ქორწინება ძალიან გახშირდა, ასე რომ არ დარჩენილა ჯარისკაცი რომ არ დაქორწინებულიყოს: კაცები ჯარში წაიყვანეს, ხოლო ქალები დარჩენ უმწეოთ სახლში; აქედან დაიბადა აუტანელი მდგომარეობა: ისინი იძულებული გახდენ მამაკაცის ბევრნაირ საქმისთვის მოეკიდათ ხელი და ჩინებულათაც ასრულებენ: როგორც ოჯახურს ისე საზოგადოებრივსაც.

აი ამ მოვლენის ზე გავლენით ამერიკელ ერთ ნიჭიერ მწერალ ქალს მარსანს დაუწერია ერთ მოქმედებიანი პიესა „მეომართა ცოლები“, რომელსაც დღეს ნიუორკის სახალხო თეატრში დღეში ორჯერ დგამენ და აურაცხელი ხალხი გულდასმით ისმენს.

ამ პიესის გმირი ქალი—გედვიგა ფემინისტკაა და ქალთა საარჩევნო უფლების და ქალთა გათანასწორების აგიტაციას ეწევა. ის სხვათაშორის ერთ თავის მონოლოგში ამბობს: „ჩვენ, ჩვენ ქალები მთელი ჩვენი გამწარებული და გაჯოჯოხეთებული სიცოცხლის განმავლობაში ვბადებთ და ვზრდით შვილებს... თუ კი ჩვენ ამისთვის გამოსადეგი ვართ, რატომ იმისთვის კი არ ვარგივართ, რომ ჩვენი შვილების ბედ იღბლის განმკარგულებელი ჩვენვე ვიყოთ! არა. ჩვენ იმისთვისაც კარგათ გამოვდგებით, რომ თქვენს—მამაკაცების—თათბირშიაც ჩვენი საერთო სამშობლოს საბედისწერო მომავლის გადაწყვეტაშიაც მონაწილეობა მივიღოთ“.

აი რა აზრით და იდეით არის გამსჭვალული პიესის მთავარი გმირი ქალი გედვიგა. მის სიტყვები დედა კაცთა სოლიდარობის და ახალი უფლებების მოთხოვის გამოძახილია. „ფემინისტები“ სარგებლობენ ქალთა დღევანდელი ასეთი განწყობილებით და როგორც თეატრების სცენებიდან, ისე ეკლესიის ამბიონიდან, ქალთა კრებების ტრიბუნიდანაც განუწყვეტელ აგიტაციას ეწევიან.

---

მღვდელი მიხვდა ამ საშინელ გამოხედვას და შეშინებულმა უკან დაიწია.

— ნუ... ნუ!.. შე უბედურო! დაბლა ჩაილაპარაკა დამარცხებულმა მღვდელმა, მკლავში ხელი გაუყარა და ეკლესიისაკენ გაემართენ.

— —

გაჩირაღდნებულ ეკლესიას სადღესასწაულო ელფერი დასდებოდა.

მაიას არ ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. იგი გარინდული იდგა და თვალები ლურსმანივით მიეჭედა ღვთისმშობლის ხატისათვის. ღვთისმშობელს მაცხოვარი გულზე მიეკრა და სათნო სახით, დამამშვიდებელის თვალებით ზემოდან დასცქეროდა ტანჯულ დედას. მაია აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. მხოლოდ ერთი აზრი ვერ მოეშორებინა თავიდან.—

— ესეც დედაა... მეც... ფიქრობდა იგი.

ამ ფიქრში წირვაც დასრულდა.

— ქრისტე აღსდგა! შესძახა მღვდელმა.

— ჭეშმარიტად! იგრიალა ხალხმა.

მაია ისევ გაქვავებული იდგა.

— მაია, ქრისტე აღსდგა! უთხრა მღვდელმა და მის წინ ჯვარი აღმართა.

მაია გამოერკვა და ანთებულის თვალებით მღვდელს შეხედა.

ეს იყო განსაცდელის წუთი. ორი აზრი ერთმანეთს შეეჯახა. მაიას თვალებში საშინელი საკითხი იხატებოდა.

მღვდელი შეკრთა, მაგრამ უცბათ გონს მოვიდა და მრისხანე თვალებით მაიას გაქვავებულ სახეს მიაჩერდა.

— ქრისტე აღსდგა! გაუმეორა მღვდელმა და ჯვარი უფრო ახლოს მიიტანა.

მაიამ მღვდელს თვალები მოაშორა და ჯვარცმას დააშტერდა. იგი მოეშვა, ამაყად ამართული თავი ძირს დაუშვა, და ათრთოლებულის ტუჩებით ჯვარს დაეკონა.

მაიას თვალთაგან გადმონაწური უკანასკნელი ცრემლი მღვდელს ხელზე დაეცა.

ვლ. შალიკაშვილი.

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 19 მარტი. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, რომელიც ზოგიერთა მხარეებით ვადამდის ახალგაზდათა ჯარში გაწვევას შეეხება. გამოქვეყნებულია აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი: 1) დამატება 13 მუხ. უმაღლესათ დამტკიცებული 7 ოკტომბერს, 1914 წ. იმ დადგენილებისა, რომლის თანახმათაც სამხედრო ტყვეებს შრომის ქირა არ მიეცემათ, თუმცა ამით უფლება არ ერთმევათ იმ დაწესებულებებს, სადაც სამხედრო ტყვეები სამსახურს შეასრულებენ, მისცენ მათ ფული, როგორც ჯილდო მუყაითი შრომისთვის. 2) უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა საბჭოს დადგენილება 11 იანვარს 1915 წ., რომლის თანახმათ 11 იანვარს, 1915 წ. უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება მეომარ სახელმწიფოების ქვეშევრდომთა ვაჭრობის მოწმობებზე 1915 წ. არ გავრცელდება. გერმანიისა, ავსტრო ჰუნგრეთისა და ოსმალეთის იმ ქვეშევრდომთ, იტალიელები იქნებიან, თუ ფრანგები ან და მართმადიდებელი ქრისტიანენი, რომლებიც სამხედრო, ანუ სამოქალაქო მთავრობების ნება რთვით იმპერიაში მუდმივ საცხოვრებლათ არიან დატოვებულნი, ნება აქვთ განაგრძონ თავიანთი სავაჭრო, ანუ სამრეწველო მოქმედება. 3) შემოსავლის აღნუსხვა წარმოების მიხედვით. 4) ომის გათავებამდი შეიძლება დროებით დაშვებულ იქნენ ქვანახშირის მადნებში მუშაობაზე ისეთი ქალებიც, რომლებსაც წლოვანებით ჯერ 15 წლამდის არ მიუღწევით. 5) დამტკიცებული უნდა იყოს წესდება, რომლის თანახმათ ხაზინიდან დამატებით დახმარება უნდა მიეცეს იმ პირთ, რომლებსაც სამხედრო მოქმედებათა რაიონის სამოქალაქო უწყებაში უხდებათ სამსახური. 6) შემოკლება იმ ვადისა, რომლის განმავლობაში ომში გაწვეულ ჯარის კაცთათა ოჯახებს სახელმწიფო დახმარება ეძლევათ და განთავისუფლება ვალის გადახდისაგან.

უმაღლესად ებრძანა უმართებულეს სენატს საჭიროთ იცნოს და გამოარკვიოს 1916 წ. ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა კონტინენტი, რომლებიც ვადაზე ადრე იქნებიან გაწვეული 1915 წ. და მოწონებულ იქნა რა მინისტრთა საბჭოსაგან თანახ. 87 მუხ. 1 კრ. კან. ტ. I. ნაწ. I გამ. 1906 წლ., ვუბრძანებთ მოიწვიონ 1915 წელ. სამხედრო ბეგარის წესდების მიხედვით 1 კრ. კან. ტ. 4 გამ. 1897 წ. და მოწერ. 1912 წ. არმიისა და ფლოტის შესავსებათ 585 ათასი ახალგაზდა და 2) თერგის ოლქიდან გაწვეულ უნდა იყოს ასი ოსი, რომლებიც დაინიშნებიან ცხენოსანთა დივიზიონში—თანახმათ უმაღლესად დამტკიცებულ სამხედრო საბჭოს დადგენილებისა 10 მკათათვეს 1890 წ. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს ქვეითა ჯარის შევსებას და ამისათვის შესაფერ განკარგულებას გასცემს. დედანზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით არის მოწერილი **ნიკოლოზი.** ცარსკოესელოში, 16 მარტს, 1915 წ. ბეჭედი დაჰკრა მინისტრთა თავმჯდომარემ გორემიკინმა.

16 მარტს გამოცემულ უმაღლესი უკაზის მიხედვით, რომლითაც უმართებულეს სენატს ებრძანა მიმდინარე წლის 15 მაისიდან ვადაზე ადრე 1916 წ. მაგიერ გაიწვიოს ჯარში ახალგაზდანი, სამხედრო ბეგარის სამართველო ყველას აუწყებს შემდეგს:

1) ახალგაზდები, გარდა სოფლის მოსახლკარეთა, რომლებმაც 1916 წ. უნდა მოიხადონ სამხედრო მეგარა, ე. ი. ვინც დაბადებულია 1895 წ. და ჯერ არარიან კენჭის ამოსაღებათ ამა თუ იმ უბანზე მიწერილი, უნდა მიეწერნენ 1 მაისიდან 1915 წ. ვინც ვერ მოასწრებს ამის ასრულებას, ისინი კენჭში გასაწვევ ახალგაზდათა სიაში ჩაეწერებიან მათი ბინადრობის მიხედვით. ამისთვის მათ უნდა აცნობონ იმ ხაზაზროს, ან და სამოქალაქო სამხედრო საკრებულოს უფროსებს.

2) ერთი უბნიდან მეორე უბანში გადარიცხვა 1915 წლ. 15 მარტიდან გაუქმებულია.

3) ვინც უმაღლესსა ან საშუალო სასწავლებელში სწავლობს და სურთ სწავლის დამთავრება, მათ 1915 წლ. მაისამდი თხოვნა უნდა მიართვან სამაზროს, საოლქოს ან და სამოქალაქო სამხედრო საკრებულოს.

**თფილისი.** 19 მარტი. დილის რვა საათსა და 42 წუთზე საგრძნობი მიწის ძვრა იყო. ოკი წუთის შემდეგ კიდევ განმეორდა.

**პეტროგრადი.** 20 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან, ოფიციალური. ოსმალები შეეცადენ მდ. არხავის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ლონდონი.** 19 მარტი. გუშინ ბიჩხერთან გერმანიის წყალქვეშა ნავმა წინასწარ გაუფრთხილებლად დაიღუპა ერთი გემი. გემზე იყო 19 მეზღვაური. დაირჩა 17. იმავე ადგილზე გერმანიის წყალქვეშა ნავმა დაღუპა ინგლისელების მეორე გემი სევენსიზი, რომელსაც 1194 ტონის წყალწყვა ჰქონდა. გემი დაიღუპა სამი წამის განმავლობაში. გემზე მყოფთაგან დაარჩა 18 კაცი.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 18 მარტი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან: ნელიანიდან დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება, ჩვენმა ჯარმა კრასნოპოლის მიდამოებში წინ წაიწია და 17 მარტს აიძულა გერმანელები უკან დაეხიათ, მასთან 200 ჯარისკაცი დაატყვევეს, ორი აფიცერი და ორი ტყვიისმტყორცნელი იხელთეს. კარპატებზე ჩვენი შეტევა გრძელდება. ღღლამის განმავლობაში, 16 მარტს, ჩვენ ხელახლათ 38 აფიცერი დავატყვევეთ, 1750 ჯარის კაცი და ხუთი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. ჩვენმა შავი ზღვის ფლოტმა, ზუნჩულდაკსაკოზლუს, კილიმს და ერეგლს ყუმბარები დაუშინა. ჩვენმა ...... ზღვის ნაპირზე ცეცხლი ...... გამოიწვია 17 მარტს. ...... ჩვენი გემები იძულებული იყვენ სროლაშივე წყვიტათ რომლის შემდეგ ზუნგულდაკას გამო კაზლის და კილიმაივს სროლა ავუტეხეთ. ჩვენმა ფლოტმა ხელახლათ სროლა აუტეხა შენობებს და ბევრი დაანგრია. ჩვენი იალქნიანი ნახშირის გემი ჩაიძირა. მიუხედავათ მტრის თოფის ცეცხლისა, ჩვენი მფრინავები ჰიდროპაეროპლანიდან ყუმბარებს ისროდენ. 7—16 მარტამდი კარპატების რაიონში ჩვენ დავატყვევეთ 202 აფიცერი, 8 ექიმი, 16207 ჯარისკაცი, 62 ტყვიისმტყორცნელი და 10 ზარბაზანი ვიხელთეთ.

**ლონდონი.** 18 მარტი. ინგლისის გემი „ფამინიანგი“ კუნძულ სილიდან 50 მილზე დაშორებული, რომელიც გლაზგოდან მოდიოდა კაპშტადს, სამშაბათს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. ეკიპაჟი—41 კაცი დანიის გემმა „ფინლიანდიამ“ გადაარჩინა.

## ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 17 მარტი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 16 მარტს, ზღვის ნაპირის გზით უმნიშვნელო სროლაა. ართვინის რაიონში ოსმალები მელისკენ უკუვაქციეთ. მარცხენა ფლანგზე სარაყამიშის გზით ჩვენმა ჯარმა დელიბაბასი, ყარადერბენტისა და შოკეიილიას რაიონი დაიჭირა, ოსმალები დასავლეთისაკენ უკუ აქცია, მასთან კავკასიის ერთმა ძველმა პოლკმა ოსმალები მათ პოზიციებიდან გასდევნა. დანარჩენ გზებზე უმნიშვნელო ბრძოლა გრძელდება.

**პეტროგრადი.** 18 მარტი. ბოსფორის რაიონში 16 და 17 მარტს ძლიერი ნისლი იყო, რამაც აიძულა ფლოტი სროლა შეეწყვიტა. ხონგულდაკისა და ერეგლის ზარბაზნების დაშენის დროს რუსების ფლოტმა კვლავ დაანგრია შესწორებული სიმაგრეები, ამას გარდა რუსებმა ჩასძირეს ერთი გემი და რამდენიმე ქვანახშირის ხომალდი. რუსების მფრინავები მიუხედავათ ცხარე სროლისა, ჰიდრო-ჰაეროპლანებიდან ესროდენ ყუმბარებს.

## დასავლეთის ასპარეზი.

7 დან 16 მარტამდე კარპატებში სამი მახლობელ კორპუსის რაიონში რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 202 აფიცერი, 8 ექიმი და 16207 ავსტრიელი ჯარის-კაცი. აგრეთვე ხელთ იგდეს 62 ტყვის მფრქვეველი და 10 ზარბაზანი.

**პეტროგრადი.** 18 მარტი. უკანასკნელ დღეებში ჩვენ მიერ დატყვევებულ გერმანელთა შორის ბევრი ელზასელია. ესენი თხოულობენ, რომ ტყვე პრუსიელებთან არ მოათავსონ. ედვაბნოსთან გერმანიის ჰაეროპლანს სროლა აუტეხეთ, რომელიც მტრის და ჩვენ თხრილების ახლოს ჩამოეშვა.

მფრინავი და მექანიკი ტყვეთ წამოვიყვანეთ, მხოლოთ მტრის გაძლიერებული ცეცხლისგამო ჰაეროპლანი ვერ წამოვიღეთ. უკანასკნელ დღეებში გერმანელების ჰაეროპლანები ბეჯითად მოქმედებდენ. ოსტროლენის გზით, 16 მარტს, ჰაერში ერთდროულათ მტრის 15 ჰაეროპლანი გამოჩნდა და ერთს სახლს ყუმბარები დაუშინეს, რომელშიც რუსის მთავარი შტაბი ეგონათ მოთავსებული. ამ სახლს ბარე 100 ყუმბარა ესროლა მთელი დღის განმავლობაში, მაგრამ ერთიც არ მოხვედრია. ამ სახლის მცხოვრებლები უვნებლათ გადარჩენ. ოსოვეცზე ყუმბარების დაშენა თითქმის შესწყდა. 16 მარტს მტერმა ჩვენ სიმაგრეს მძიმე ზარბაზნით ასჯერ ესროლა. ტყვე ავსტრიელმა აფიცრებმა, რომლებიც 15 მარტს, დავატყვევეთ კარპატებზე ბალიგრადის გზით მომხდარ ბრძოლის დროს, ავსტრიის ჯარს ანიშნეს, რომ კარპატებზე უკან დახევა ყოვლად შეუძლებელია, აქ უნდა გადაწყდეს ჩვენი ომის ბედი, ამიტომ სასიკვდილოთ გასწირეთ თავი, ვიდრე თქვენ თხრილებს მტერს დაანებებთო.

**პეტროგრადი.** 19 მარტი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. მდ. ნემანის დასავლეთით, 18 მარტს, გერმანელებს ვაჯობეთ. კრასნის რაიონში სიმნოს დასავლეთით, მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია. კარპატებზე ბრძოლა გრძელდება. თოვლით დაფენილ მთებზე და სალ კლდეებზე გვიხდება ასვლა. მავთულებით დახლართულ ტყეში ფეხდაფეხ მივდევდით ავსტრიელებს დასანგრებიდან ვერეკებოდით. ვესკიდის ქედის სიმაღლეების მთელი რიგი დავიჭირეთ. ლიტოვის გზით, მიუხედავათ მტრის ძლიერი ცეცხლისა, ავსტრიელები მათ პოზიციებიდან გავსდევნეთ. პასიჩნის დასავლეთით და დვერნიკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 17 მარტს, კარპატებზე, ბრძოლის დროს 80 აფიცერი და 5600

ჯარისკაცი დავატყვევეთ, 4 ზარბაზანი და 1 ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. ხოტინის გზით ავსტრიელების რამდენიმე ბატალიონი, რომელსაც სოფელ შილოვცისა და მალინეტის რაიონში ძალიან გამაგრებული პოზიცია ეჭირა, 17 მარტს ალყა შემოვარტყით ნაწილი გავწყვიტეთ და დანარჩენი 1500 კაცი დავატყვევეთ. 12 მარტს, ავსტრიელების ჰაეროპლანმა ტარნოვზე რვა ვერსით დაშორებულ სადგურ ვოლია-რჟენძაისთან (?) მდებარე ლაზარეთს ორი ყუმბარა ესროლა, მიუხედავათ იმისა, რომ ლაზარეთზე და ბოძებზე წითელი ჯვრის ბაირაღები ფრიალებდა.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ათინა**. 16 მარტი. ხალკიდონის მიტროპოლიტი გერმანი შეიპყრო სამხედრო მთავრობამ და მიუხედავად მსოფლიო პატრიარქის პროტესტისა სამხედრო სამართალში მისცეს. მას ბრალდება სახელმწიფოს ღალატი.

**ათინა**. 17 მარტი. სმირნის გარშემო მდებარე მაღლობები გამაგრებულია გერმანელების მიერ. მეოთხე საარმიო კორპუსი შევსებულია ახალ გაწვეულთა ორი დივიზიით.

**პარიზი**. 17 მარტი. სენატმა უკამათოთ მიიღო პალატისაგან წარდგენილი სერბიისა, ჩერნოგორიასა. საბერძნეთისა და ბელგიის დახმარების შესახებ კანონპროექტი. საერთო ჯამი ამ დახმარებისა 1350 მილიონს უდრის.

**ლიბავა**. 17 მარტი. ლიბავაზე ატეხილ სროლის შემდეგ ზარალი გამოირკვა. სამი დაჭრილია, 7 ძალიან დაშავებული და მოკლულებიც არიან. გემი „ბალტიკა" და 15 სახლამდი დაზიანებულია, მავთულები დაგლეჯილია და ბევრი სახლების ფანჯრები ჩამტვრეულია.

**პარიზი**. 18 მარტი. ოფიციალური ცნობა საზღვაო სამინისტროსი 17 მარტისა. დეპიეს გასწრივ ფრანგებისა მეორე მსუბუქ ესკადრამ შეამჩნია გერმანელთა წყალ ქვეშა ნავი. ფრანგების გემი დაედევნა მას და ესროლა პერისკოპს. ნავი წყალში ჩაიძირა.

**სოლუნი**. კუნძულ ტენედოსიდან დეპეშით იტყობინებიან: სასტიკი სროლის შემდეგ დარდანელში 15 მარტს მოკავშირეთა ფლოტმა დაანგრია ბატარეები გალიპოლის გასწრივ.

**ლონდონი**. 18 მარტი. საზღვაო ვაჭრობის კავშირის მდივანი იტყობინება, რომ გემ „ფალაბას" დაღუპვის გამო სანაოსნო გემების კაპიტნებმა დაადგინეს „ფალაბას" დაღუპვისთვის შური იძიონ, ამისთვის გემების ზარბაზნებით შეიარაღებას მოითხოვენ, რომ შესაძლებელი გახდეს თავის დაცვა. ლივერპულში მოსული გემი „სიტიუფკემბრიტი" ინგლისის დასავლეთ ნაპირთან წყალქვეშა ნავს შეხვდა. გემის კაპიტანმა მოახერხა წყალქვეშა ნავისთვის ხელი შეეშალა გემის ქვეშ ნაღმი გაეშო, მაგრამ საარტილერიო სროლას კი ვერ ასცდა. ბაქანზე ნავები სულ დაიმტვრა, კაიუტის ზევითა ნაწილი დაზიანდა. ბოლოს იძულებული გახდა წყალქვეშა ნავს სროლა შეეწყვიტა, რადგანაც ზღვის ტალღა და ქარი მის წინააღმდეგ იყო მიმართული. გემის კამანდას არც კი დასცალდა გემის აფეთქებამდე ნავზე გადმომჯდარიყო.

### იტალია, გერმანია და ავსტრია.

რომში მყოფი „ტეიმსის" კორესპონდენტი ესაუბრა იტალიის ორ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომლებიც კარგათ არიან გაცნობილი იტალიის პოლიტიკას. ორივე მოსაუბრემ უარყვეს გერმანოფილურ გაზეთების ცნობები, ვითომც თავად ბიულოვის მისიამ იტალიაში გაიმარჯვა. თავადი ბიულოვი ბევრს ეცადა, რომ სალანდრა და სონინო დაეთანხმებია, მაგრამ ვერავითარმა მისმა ხრიკმა ვერ გასჭრა. ამ აზრით, ბიულოვის მინდობილობით, გერმანოფილურმა გაზეთებმა დასტამბეს წერილები, რომლებიც იტყობინებოდენ: იტალიამ თანხმობა განაცხადა ავსტრიასთან მეგობრული განწყობილება იქონიოს ტრიენტისა და ტრიესტის დათმობის შემდეგო. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. თავ. ბიულოვმა მაინც მოახერხა სონინოსთან და სალანდრასთან მოლაპარაკება. ორივე მინისტრმა ბიულოვს უპასუხეს: „ბატონი ბრძანდებით, წარმოგვიდგინეთ თქვენი წინადადებები, მერმე კი ჩვენ ვიცით როგორ მოვიქცევითო".

იტალიის სოციალისტურმა ორგანომ „ავანტიმ" ნება მიიღო, გამოაქვეყნოს სრული დედანი იმ წინადადებისა, რომელიც თავ. ბიულოვის შუამავლობით წარუდგინეს იტალიას. სულ ოთხი მუხლია:

1) დაუყონებლივ დაეთმოს იტალიას ტრიენტინო და საზღვრებზე მდებარე მიწები მდ. იზონცოს აუზის გასწრივ. ამ მიდამოებში ავსტრიის მიერ გაყვანილი რკინის გზით.

2) დაუყონებლივ მიეცეს ტრიესტს და მის ოლქებს სტატუტი იმისდაგვარი, როგორიც ჰქონდა ფიუმეს უნგრეთის მთავრობის განკარგულებამდე. უნგრეთის მთავრობა თითონვე აღადგენს გაუქმებულ სტატუტს ფიუმესათვის.

3) ავსტრია არ ჩაერიოს იტალიის მოქმედებას ალბანეთში.

4) შედგენილ იქნას ოქმი და მიემატოს სამთა კავშირის ხელშეკრულობას. ოქმი უნდა ეხებოდეს შემდეგ მუხლებს: ა) ავსტრიისა და იტალიის შეთანხმებას, ორთავ სახელმწიფოს გავლენის საკითხს ადრიატიკში. ბ) ორთავ სახელმწიფოს სანაოსნო ძალთა მეტ აქტიურ მოქმედებას. გ) შეჩერება სერბიისა, რომელსაც სურს ალბანიის მხარეს თავისი უფლებები გააფართოვოს".

გაზ. „ავანტი" დასძენს: „ჩვენ ვიცნობთ კიდევ განსაკუთრებულ მუხლს, რომელიც,—თუ ოსმალეთი დაინაწილეს,—იტალიას ნებას აძლევს აღმოსავლეთში თავისუფლად იმოქმედოს და მას გერმანია და ავსტრია მხარს დაუჭერენ. მაგრამ რაც გავიგეთ, ეს იმდენათ ბუნდოვანია, რომ ძნელია რისამე გადაწყვეტით თქმა". (დ.)

## ქრისტე აღსდგა!

(სააღდგომო სურათი).

ღამეა... ფირუზის ფერ ცის გუმბათი მოჭედილია ციმციმა ვარსკვლავებით. ზოგი ჯგუფ ჯგუფათ შეგროვილან ცის ტატნობზე, ზოგიც გარს შემორტყმიან ღამის ბუმბერაზ გუშაკს ფერ-გადაკრულ მთვარეს და არშიყულათ, ეშხით სავსე თვალებით უცინიან, ეალერსებიან მას.

თეთრი, ფერმიმკრთალი მთვარეც, თანაგრძნობის ნიშნად, ნაზათ უღიმის თითოეულს მათგანს და სიყვარულით სავსე სხივებს უხვათ აფრქვევს მათ.

ციმციმობენ ვარსკვლავები მხიარულობენ, ერთმანეთს ყელზე ეხვევიან-ლიტანიობენ...

მთვარე კი დინჯათ მიცურავს, ყველას უცინის და თანდათან ფერდაკარგული უფსკრულისაკენ მიემგზავრება.

დედა-მიწაზე ყველა მოძრაობს, ყველა ამდგარა, ყველა ფუსფუსებს, ეკლესიაში მიეჩქარება...

აქაც სანთლები, ვარსკვლავთა მსგავსად, ეკლესიებს აელვარებენ, აორკეცებენ მთვარის სინათლეს და, შეერთებულის სინათლის ძალით, უკუაქცევენ ღამის სიბნელეს...

მხიარულობს, ლიტანიობს ყველა სულდგმული!.

„ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! გაისმის ყველგან.

„ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! უპასუხებენ. ირაჟრაჟა

მზის სხივებმა ყურები სცქვიტა. ცას ნისკარტი ჰკრა, გაიღვიძა, ყველას ახარა:

— ქრისტე აღსდგა! გიხაროდეს ყველა სულდგმულო!

ქრისტე აღსდგა! ტვირთ-მძიმენო, ღარიბ-ღატაკნო!

ქრისტე აღსდგა! ია-ვარდო, ნაზო ბულბულო!

ქრისტე აღსდგა! მდიდართ კოშკო, დარბაზებო, ოქროთ მაძღარნო!

ქრისტე აღსდგა! ბრძოლის ველზე მედგრათ მებრძოლნო!

მეომარნო, გულ-კერდ ღია სისხლისა მღვრელნო!

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად ქრისტე აღსდგაო!

ყველამ თავის მხრივ უზენაესს პასუხი მისცა.

ყველამ რწმენითა და მადლობით მიიღო იგი.

მხოლოდ გულმა, დაკოდილის მეომრის მკერდში, არ მიიღო, აფართხალდა, პასუხი მისცა:

— არა, ჩვენთვის არ ამდგარა ჯერ მაცხოვარი და ვერც გეტყვით საპასუხოთ: „ჭეშმარიტათო"!..

ქრისტე აღსდგა! ამის პასუხს ჩვენ მოგახსენებთ, როცა სამშობლოს ჩვენ ვიხილავთ ძლევა-მოსილსა, თავისუფალს, გამარჯვებულს, გახარებულსა.

მტერს დამარცხებულს, უკუქცეულს-გაბახებულსა და თვის ქვეყნისკენ შერცხვენილათ გაბრუნებულსა.

ე, მაშინ იქნება მაცხოვარი ჩვენთვის ამდგარი და მაშინ გეტყვით მხიარულათ: ღიახ, აღდგა, აღდგა ჭეშმარიტათ!.

თეოფ. ხუსკივაძე.

## წითელი კვერცხით მილოცვა.

(ამ ჩვეულების დედა აზრი).

წითელი კვერცხით მილოცვა პასქის დროს არის უძველესი ჩვეულება, რომელიც დამყარდა ქრისტიანთა შორის პირველ საუკუნოშივე ქრისტეს დაბადების შემდეგ.

ვიდრე ამ ჩვეულების მნიშვნელობას განვმარტავთ, საჭიროა აღვნიშნოთ ის, თუ რა დღესასწაულს წარმოადგენს თვით პასქა ანუ აღდგომა ქრისტესი. ეჭვ გარეშეა, რომ ყოველ ქრისტიანს, როგორც მართლ-მადიდებელს, ისე კათოლიკე-ლიუტერანს, აღდგომა მიაჩნია უმთავრეს დღესასწაულად... ამ დღეს ყველა ჩვენთაგანი მხიარულად ეგებება..

რა არის ამისი მიზეზი? რა აგონდება ამ დღესასწაულის დროს ქრისტიანს?

ქრისტეს სარწმუნოების ყველა მიმდევარი ამ დიდებულ დღეს უწინარეს ყოვლისა იგონებს მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას; ასე არის დღეს და წინად კი, განსაკუთრებით წმ. მოციქულების დროს, ამ დღეს იგონებდენ მხოლოდ იესო ქრისტეს ტანჯვა-წამებას და მის სიკვდილს. თვით დღესასწაული ხდებოდა 14 ნისანის ანუ აპრილის თვეში და გრძელდებოდა 21 რიცხვამდი; ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ, აღდგომას დღესასწაულობდენ მარტის უკანასკნელ რიცხვებში და აპრილის პირველ ნახევრის დასაწყისში. სწორედ ამ დროის განმავლობაში ებრაელები დღესასწაულობდენ თავიანთ პასექს.

შემდეგ საუკუნოებში ქრისტიანულმა პასქამ მიიღო უფრო ფართო ხასიათი და ამ დღეს ჩვენ, თანამედროვე ქრისტიანები, ვგულებთ მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომასაც, და არა მარტო მის სიკვდილს.

როგორც წინად ვთქვი, აღდგომას ძველათ და ჩვენ დროშიც უწოდებენ პასქას. რას ნიშნავს ეს სიტყვა, ან საიდამ წარმოსდგება იგი?

ებრაელები, როგორც ქრისტეს დაბადებამდი, ისე ახლაც ხმარობენ სიტყვას „პასექი" ანუ პასქა. იგი ნიშნავს „ღვთიურ კრავს". თანამედროვე ებრაელები პასექს დღესასწაულობენ რვა დღის განმავლობაში აღსანიშნავად მათი სასწაულებრივ განთავისუფლებისა ეგვიპტელების მონობისაგან.

ქრისტიანი კი სიტყვას „პასქა" ხმარობს სულ სხვა მნიშვნელობით. როგორც დაგვიმტკიცეს უძველესმა ქრისტიანობის ისტორიის მცოდნე მწერლებმა, ეს სიტყვა ებრაელთა ენიდამ კი არ წარმოსდგება, არამედ ბერძნულიდამ. ბერძნები ძველად ხმარობდენ სიტყვას „პასხეინ და იგი ნიშნავს ტანჯვას, წამებას. აი სწორედ ასეთი მნიშვნელობით შეითვისა ეს სიტყვა მთელმა საქრისტიანომ...

მაშასადამე აღდგომა ქრისტესი ანუ ანუ პასქა არის ისეთი დღესასწაული, რომლის დროს მაცხოვრის ახალი აღთქმის მიმდევარი იგონებს იესო ქრისტეს ცხოვრებას, მის ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვა-წამებას, ჯვარზე სიკვდილით დასჯას და ბოლოს მისი მკვდრეთით აღდგომას.

აღდგომა დღეს ჩვენ ამ ჟამად ვდღესასწაულობთ წელიწადში ერთხელ სამი დღის განმავლობაში (კვირას, ორშაბათს და სამშაბათს). მაგრამ იყო დრო, როცა პასქა ხდებოდა წელიწადში ერთხელ კი არა, არამედ რამდენჯერმე.

რადგან ქრისტეს სარწმუნოება ჯერ ებრაელთა შორის გავრცელდა პალესტინაში, ამიტომაც პირველმა ქრისტიანებმა უნებურად შეითვისეს ზოგიერთი ებრაელთა ჩვეულება და წესი. პალესტინიდამ ახალი სჯული ელვის სისწრაფით გავრცელდა ჯერ მთელ მცირე აზიაში და შემდეგ დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით ემჩნეოდათ ებრაელთა წესების გავლენა იმ ქრისტიანებს, რომელნიც ცხოვრობდენ მცირე აზიაში.

დასავლეთ ევროპაში კერპის თაყვანის მცემლებმა მიიღეს ქრისტიანობა და ებრაელთა წესებში მათ სრულებით არ მოსწონდათ, სულ იმას ცდილობდენ, რომ როგორმე გაენთავისუფლებინათ ახალი სარწმუნება ამ ძველი გავლენისაგან ამ გარემოებას თავის მხრით წინ აღუდგა აღმოსავლეთის ქრისტიანობა. რაში გამოიხატა, მაგალითად, ის დიდი განსხვავება, რომელმაც ეს განხეთქილება დათესა მთელ საქრისტიანოში?.

დასავლეთ ევროპაში აღდგომას დღესასწაულობდენ კვირა დღეს, მცირე აზიაში კი პარასკევ— შაბათობითაც. აი სწორედ აქ დაეტყო ებრაელთა ტრადიციების გავლენა. იმ ქრისტიანებს, რომელნიც მისდევდენ ებრაელთა ჩვეულებებს, დაარქვეს კვადროდეციმანები. ასტყდა დიდი პოლემიკა და სჯა-ბაასი აღმოსავლეთ და დასავლეთ შორის. კვადრო-დეციმანები იცავდენ ძველ ჩვეულებას, ურიებისაგან შეთვისებულს, დასავლეთი კი უარყოფდა. ორთავე მხარეს ყავდა თავისი თანამგრძნობიც და მოწინააღმდეგეც. პოლემიკა ხანდახან მწვავე ხასიათსაც იღებდა. გავიდა ბევრი დრო ამ სჯა-ბაასში და ბოლოს მეხუთე საუკუნეში ორივე მხარე შეთანხმდა.

ამის შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა პასქა, როგორც ქრისტეს აღდგომის ნიშნად დღესასწაული და ხდებოდა იგი კვირა დღეს. ამავე დროს შემოიღეს მრავალგვარი ცერემონიები და წესები, რომელნიც განსაკუთრებულ ელფერს აძლევდენ ამ დიად დღესასწაულს. სხვათა შორის ქრისტიანებმა მალე შეითვისეს ის ჩვეულებაც, რომელიც ჩვენ დროშიც მეტად გავრცელებულია, სახელდობრ წითელი კვერცხით მილოცვა.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს ეს წითელი კვერცხით მილოცვა?

ეს უძველესი ჩვეულებაა, როგორც ამ სტატიის დასაწყისში მოვიხსენიე. მისი სათავე იწყება პირველ საუკუნეშივე ქრისტეს დაბადების შემდეგ. ამ ჩვეულების ასახსნელად არის ერთი თქმულება, რომელიც სიმართლეს არ არის მოკლებული. აი ეს თქმულება.

მარია მაგდანინელმა წმ. მოციქულების მიბაძვით განიძრახა ქრისტეს სჯულის გავრცელება სხვა და სხვა ერთა შორის, მან მოიარა ბევრი ქვეყანა და ყველგან უშიშრად, დიდის ალტაცებით ქადაგობდა ახალ აღთქმას. ბევრს მიაღებია ქრისტეს სარწმუნოება.

მარიამ მაგდანინელი, სხვათა შორის, მოვიდა ქალაქ რომს, ძლევა-მოსილ რომაელთა სასახელო ქალაქში. ამბობენ, რომ მან ინახულა რომის იმპერატორი ტიბერიოსი და ხმა მაღლა, მხიარული კილოთი მიულოცა დიდი იმპერიის ბძანებელს ქრისტეს აღდგომა. სთქვა თუ არა სიტყვები „ქრისტე აღსდგაო", მოციქულსწორმა მარია მაგდანინელმა საჩუქრად მიართვა კვირას წითელი კვერცხი.

აი სწორედ ამ დღიდამ, ძველი მწერლობის მოწმობით, იწყება ქრისტიანთა შორის წითელი კვერცხით მილოცვა. ამ ჩვეულებას მეტად ღრმა საფუძველი ჩაეყარა და ბოლოს ტრადიციადაც გადიქცა. ახლაც ჩვენ, ქრისტიანები ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღეს ერთი-ერთმანეთს ულოცავთ წითელ კვერცხს.

რა მნიშვნელობა აქვს ამ წითელ კვერცხს? რას ნიშიას თვით კვერცხი და მისი წითელი ფერი?

კვერცხი გავს კუბოს თავის გარეგნობით, მაგრამ შიგ ამავე დროს ჩამარხულია თესლი, მუდმივი სიცოცხლის ჩანასახი. მაშასადამე კვერცხი ქრისტიანისთვის წარმოადგენს სიმბოლოს ისეთ კუბოსას, რომლის სიღმეში სიცოცხლის დასაწყისია.

რას ნიშნავს წითელი ფერი? რა მნიშვნელობით ღებავს ქრისტიანი კვერცხს ამ ფერით და არა სხვით? წითელი ფერი ნიშნავს იესო ქრისტეს იმ წმინდა და უმანკო სისხლს, რომელიც დაიქცა ცოდვილ ადამიანთა გულისათვის. მაცხოვარმა თავისი წმინდა სისხლი სხვერპლად შესწირა მთელ ქვეყნიერობას. ამ სხვერპლის შეწირვით ქრისტემ შეასრულა თავისი უმაღლესი დანიშნულება, თავისი მისსია: მან გამოისყიდა პირველშობილ ცოდვებისაგან მთელი კაცობრიობა და მიანიჭა მას სრული თავისუფლება.

აქედამ ცხადია, რომ კვერცხი და მისი ნათელი ფერი ნიშნავს ქვეყნიერების აღორძინებას და მის მუდმივ წინსვლას განახლებისაკენ

ალ. გარსევანიშვილი.

## შაბიამანი.

(ხელოვნურათ გაძვირების გამო).

კარგათ მოგეხსენებათ, ... ერთო მდგომარეობა,

ქართული ბიბლიოთეკა

სოფლის გლეხს მომუშავე ხელი ომში ჰყავს გაგზავნილი, რომ დაიცვას სამშობლო, ქვეყანა, ხალხი და ა. ს., ამ დროს დახმარების მაგიერ ჩვენი ჩარჩი ვაჭრები დამწვარზე მდუღარეს ასხმენ, სანოვაგეს ერთი-ორათ და ერთი-სამათ ჰყიდიან მათზე. ეს კიდევ არაფერი: უშაქროთ, უჩაიოთ და ამგვარ „ფუფუნების" გარეშე გლეხი იოლათ წავა და თავის კუჭს ჭადით დაიკმაყოფილებს, მაგრამ რა უყოს ვენახს, რომელზეც აქვს დამყარებული თავისი წლიური საზრდო? ვენახს წამლობა უნდა! ვენახის „კუჭი" ვერ დაკმაყოფილდება ჭადით, მას შაბიამანი უნდა და ამ დროს ჩვენი „სპეკულიანტები" შაბიამანს ხელოვნურათ აძვირებენ და მიუწდომელ ფასს ადებენ. გირვანქა შაბიამანი გახდეს 6 შაურათ, როდესაც მშვიდობიან წელიწადს 2 შაური იყო და ნაკლებათაც იყიდებოდა.

ვინაიდან მე ახლოს ვდგევარ ამ საქმესთან, დამერწმუნეთ, მკითხველნო, რომ შეცდომაში არ შეგიყვანთ და სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, თუ რას იგებენ ვაჭრები ფუთ შაბიამანზე. შაბიამანის უფრო მეტი წილი მოდის ინგლისიდან დარდანელით და, ვინაიდან დღეს დარდანელი დაკეტილია, შაბიამანიც ამ გზით აღარ შემოდის; ნორვეგიის გზით კი, ერთით რომ ვერ მოესწრება და მეორეთ ძლიერ ძვირი დაჯდება. ამიტომ წრეულს შაბიამანი ინგლისიდან ერთი გირიც არ წამოსულა კავკასიაში და, რაც დღეს კავკასიაში შაბიამანია — ეს სულ შარშანდელია. მიზეზი ამ დიდძალი შაბიამანის შემორჩენისა გახლავთ ის, რომ ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი მოვიდა შარშან შაბიამანი იმ შემთხვევით, რომ ერთმა დიდმა ფირმამ, როდესაც კავკასიის ვაჭრებს გზაში ჰქონდათ შაბიამანი, ამ ფირმამ ნისიათ და კარგ პირობებში მისცა შაბიამანი ვაჭრებს და ამათაც, რასაკვირველია, დიდძალი გამოიწერეს და, ვინაიდან ზომაზე ორჯერ მეტი მოიტანეს, ამიტომაც დიდძალი შაბიამანი შემორჩათ.

ახლა მოგახსენებთ, თუ რა ფასში უზით და ან რას გებულობენ: ფუთი შაბიამანი, ყოველივე ხარჯით, „მაქსიმუმი" 4 მან. არ აღემატება და ყიდიან 10—12 მ. ასე რომ, ფუთზე 7 მანეთიდან 8 მანეთამდე იგებენ, როდესაც მშვიდობიან წელიწადში მოგება 2 მ. 1 აბაზს არ აღემატებოდა.

ამნაირათ, ომი ვაჭრების გასამდიდრებელი საშუალება გახდა, გლეხთა-კი გამღატაკებელი.

ნუ თუ ცოტა მაინც არ უნდა შევიცოდოთ ეს საწყალი? სად არის სინდისი?

რას შვრებიან ამ დროს სოფლის ან ქალაქის „ინტელიგენტები" და ან პრესის წარმომადგენელნი, რატომ არ მოახდენენ სოფლათ და ქალაქათ კრებებს, რატომ არ მიმართვენ, სადაც ჯერ არს, რომ ალაგმონ საზღვარ-გადასული ვაჭრები? მაგრამ ამ ვაჟბატონებს არა სცალიათ: ისინი „გრძნეულ ქალზე" კამათობენ, „ფილოსოფიურათ" აზროვნებენ, რომ მეცნიერთა ისტორიის სამეფოში პირველობა დაირჩინონ.

ბატონებო! ამის დროც მოვა. დღეს ვისაც თავი მაშვრალთა ქომაგათ მოგაქვთ და გული შეგტკივათ მათთვის, მათ დღიურ პირ-ვარამზე და მათ განსაცდელზე იმსჯელეთ.

დასასრულ მოვუწოდებ როგორც პრესას, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციას, რაც შეიძლება საჩქაროთ

დაგმონ

ვაჭრების თავგასულობა და მიიქცენ სადაც ჯერ არს მათ ასალაგმათ, რომ გლეხებმა შესძლონ შაბიამანის შეძენა და გადარჩენ მომავალ განსაცდელს. [1])

ვახანელი.

[1]) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად იმის დასამტკიცებლად, რომ ქუთათური პრესა ყოველთვის ჰგმობს, რაც დასაგმობია (იხილეთ „სამშობლოს" ნუმრები). ხოლო რაც ჩვენ ხელთ არ არის, იმას ვერც გავაკეთებთ და ვერც ვერავინ მოგვთხოვს.

ბ-ნ ვახანელს ავიწყდება, რომ იგი რუსეთში სცხოვრობს!... **რედაქცია.**